საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 22 0000124366

08/02/2022

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2021 წლის 13 აგვისტოს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა №021/01/2119 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №792958, 13.08.2021) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „არქიტექტურის“ ინლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №895040 ბრძანების საფუძველზე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 ნოემბრის №1214734 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 24 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ხოლო 2022 წლის 18 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 25 იანვარს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და მე-2 სტანდარტი ნაცვლად "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „არქიტექტურის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 8 თებერვლის №124341 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუქისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთამანეთთან შესაბამისობის მოყვანა.
2.1 რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.).
2.3 რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში („არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები“, „შენობა -ნაგებობები“, „მასალები და კონსტრუქციები“, „არქიტექტურული გრაფიკა“ და სხვ.) შინაარსი და სათაური შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

რჩევები:

2.2 სასურველია პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს შესატყვისი საგნების ფარგლებში გაძლიერდეს გეოდეზიასთან, ასევე შენობების საინჟინრო აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით.
2.2 მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა, კერძოდ: სასწავლო გეგმაში ერთი და იგივე დასახელების კომპონენტის გასწვრივ მითითებულია კრედიტების სხვადასხვა მოცულობა: „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა-**50 კრედიტი;** უცხო ენა-15 კრედიტი, „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა-**35 კრედიტი.**
2.2 სასურველია სასწავლო კურსები : „არქიტექტურული გრაფიკა“ და „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (II)“ პროგრამაში შეთავაზებული იყოს მე-2 ან მე-3 სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ხოლო მე-7 სემესტრის არჩევით ნაწილში ჩაჯდეს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სირთულის მიხედვით იქნება სწავლების სემესტრის შესაბამისი- მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, ეს შეიძლება იყოს მაგ. „გარემოს დიზაინი“, „ შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ ან უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი კურსი.
2.2 სასურველია შენობა-ნაგებობების კონსტრუქციის ელემენტები და სტრუქტურები დალაგებული იქნას მარტივიდან რთულისაკენ კონსტრუქციების თეორიაში არსებული გამოცდილების გამოყენებით.
3.1 მიზანშეწონილია სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების პროცედურები აისახოს „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ან სხვა დოკუმენტში დამატებითი ინფორმაციის სახით, რომელიც იქნება სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და გასაგები.
3.1 მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაზარდოს უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტისა და გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების/პერსონალის რაოდენობა.
4.3 სასურველია, დაკონკრეტდეს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (კომპანიის/ორგანიზაციის)ტერიტორიაზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლის საკითხი.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი, 2023 წლის 25 იანვრამდე.
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 25 იანვარს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა/Architecture
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.01.2018, გადაწყვეტილება N23
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქიტექტურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი/Bachelor of Architecture
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, თბილისი, სასწავლო კორპუსი “ბ”, #2,0131, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 25 იანვარი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსაგდენად განსაზღვრული დრო: 1 წელი, 2023 წლის 25 იანვარმდე.

18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2029 წლის 25 იანვარი